ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო
საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი №103

29 იანვარი 2021 წ. ქ.თბილისი. თავისუფლების მოედანი №2

14:00 სთ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე - დავით უთმელიძე.

კომისიის წევრები: ოთარ გრიგოლია, ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე, ლევან ჟორჟოლიანი, ლევან დარახველიძ, ვახტანგ შაქარიშვილი, ვაჟა ოთარაშვილი, ბორია ფირცხელიანი.
სხდომას ასევე ესწრებოდა:

საფინანსო საქალაქო სამსახურიდან- გაიოზ თალაკვაძე.

სსიპ ქონების მართვის სააგენტოდან- ირაკლი თავართქილაძე,მარიამ კვერნაძე

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

სხდომას თავმჯდომარეობდა დავით უთმელიძე.

დღის წესრიგი:

1. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის № 71 - 134 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების თაობაზე
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ღია კაფეს მოწყობის მიზნით გადაცემული მიწის ნაკვეთების მოიჯარეთა მიმართ ზოგიერთი ხელშემწყობი ღონისძიების განხორციელების თაობაზე“ (#12-032036629-03)
3. საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელებიდან გამომდინარე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ ზოგიერთი პირის მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე (#12-032036632-03)
4. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა“ (ს/ნ: 202886788) და შპს „ალმას“ (ს/ნ: 204873388) შორის 2019 წლის 6 თებერვლის „შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის” (ს/ნ: 202886788) ბალანსზე რიცხულ ინფრასტრუქტურაზე, მოძრავ და უძრავ ქონებაზე არსებულ სარეკლამო ადგილებზე რეკლამის განთავსების ვადიანი, სასყიდლიანი უფლების გადაცემისა და ნებართვის მქონე თეთრ ტაქსებზე რეკლამის განთავსების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (#12-032036621-03)
5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლების IV მიკრორაიონის კორპუს N12-ის მიმდებარედ არსებული, 1222.00 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.10.07.007.173) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე((12-032102188-03)
6. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში არსებული 1500კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 72.13.06.356) სსიპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი

ეკლესიისთვის (ს/ნ:204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ(12-032102187-03)

7. ქალაქ თბილისში, მიხეილ გახოკიძის ქუჩა N26-ში არსებული 201 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1-ის (საკადასტრო კოდი: 01.19.19.004.104) ააიპ - საქართველოს ებრაელთა კავშირისთვის (ს/ნ:404386080)პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ (12-032102185-03)
8. „ქალაქ თბილისში, ბუაჩიძის 8-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.07.003.029) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "(12-032102538-03)
9. „ქალაქ თბილისში, პოლიტკოვსკაიას ქუჩა N44-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.05.003.009) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე (12-03202536-03)
10. "ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა N25-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.013.199.03.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "(12-032102538-03)
11. „ქალაქ თბილისში, შალვა ნუცუბიძის ფერდობი, IV მიკრო/რაიონი, კორპუსი 33-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.012.012) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე " (12-032102538-03)
12. „ქალაქ თბილისში, ქუჩა მინდელი N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.01.007.075) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე " (12-032102538-03)
13. "ქალაქ თბილისში, სოფელი ოქროყანა, აკაკი ხორავას ქუჩა, N13-17/ ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა, N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.017.048.01.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "(12-032102538-03)
14. "ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა, N46ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.05.003.011.02.509) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე " "(12-032102538-03
15. "ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა, N46ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.05.003.011.02.509) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე " "(12-032102538-03
16. "ქალაქ თბილისში, სოფელი ოქროყანა, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა N12-16/ალექსანდრე ყაზბეგის I შესახვევი, N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.017.045.01.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე " (12-032102538-03
17. „ქალაქ თბილისში, ღოღობერიძის ქუჩა N42-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.13.037.115) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე " (12-0321027106-03)
18. „ქალაქ თბილისში, დოესის ქუჩა N47-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.13.013.003.01.511) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე. (12-03210282-03)
19. „ქალაქ თბილისში, გრიგოლ ფერაძის ქუჩა N5, კორპუსი N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.72.14.013.429) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "(12-03210282-03)
20. ქალაქ თბილისში, ბამბის რიგის ტერიტორიაზე არსებული 422 კვმ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.18.03.061.041) 33 კვმ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ organica"-სთვის (ს/ნ:400056461) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. (12-03210212-03)

დღის წესრიგი დამტკიცდა.

მოისმინეს: "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის № 71 - 134 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების თაობაზე.

მომხსენებელი-გაიოზ თალაკვაძე.

გაიოზ თალაკვაძის ინფორმაციით, თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება 2021 წლის 1 იანვრისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ნაშთების გამოყენების და საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებული წერილის გათვალისწინებით, სადაც აღნიშნულია, რომ „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტის საბოლოო ვარიანტის საფუძველზე გადამუშავებული ფისკალური პროგნოზების შესაბამისად, მცირდება ქონების გადასახადი 15 000,0 ათასი ლარის და დამატებული ღირებულების გადასახადი 226,4 ათასი ლარის ოდენობით. ასევე, იზრდება პროცენტები - 900,0 ათასი ლარის ოდენობით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა იზრდება სულ 55 107,8 ათასი ლარით და შეადგენს 1 105 410,3 ათას ლარს. ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზოგიერთი საბიუჯეტო ორგანიზაციის, სტრუქტურული ერთეულის და რაიონის გამგეობის დამატებითი მოთხოვნების შესახებ წინადადებები. ნაშთის გამოყენების გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე, მათ შორის: იზრდება შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები: საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია (კოდი 01 02 02) ქვეპროგრამის ასიგნებები – 13 500,0 ათასი ლარით, საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია (კოდი 01 02 05) – 25 000,0 ათასი ლარი, საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია (კოდი 02 01) პროგრამის ასიგნება – 3 447,3 ათასი ლარით, გამწვანების ღონისძიებები (კოდი 03 01) პროგრამის ასიგნება – 6 000,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარების) რონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 06 02 18 15) – 100,0 ათასი ლარი, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა (კოდი 07 01 02) ქვეპროგრამის ასიგნებები – 1 000,0 ათასი ლარი. სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია (კოდი 08 06 03) – 300,0 ათასი ლარი, სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა (კოდი 08 06 04) – 360,6 ათასი ლარი, ცხოველთა მონიტორინგი (კოდი 09 02) პროგრამის ასიგნება – 4 000,0 ათასი ლარით, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო (კოდი 10 18) – 200,0 ათასი ლარი, სარეზერვო ფონდი (კოდი 10 22) – 1 000,0 ათასი ლარი, კრწანისის რაიონის გამგეობა (კოდი 10 35) – 500,0 ათასი ლარი.

მცირდება შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები: სპორტული ღონისძიებები (კოდი 08 06 01) ქვეპროგრამის ასიგნება – 300,0 ათასი ლარით. ასევე, დაზუსტდა მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ქვეპროგრამის ფარგლებში მომუშავეთა რიცხოვნობა. კერძოდ: მომუშავეთა რიცხოვნობა მცირდება 12 ერთეულით. შესაბამისად, ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა ჯამურად შეადგენს 3 940 ერთეულს. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 035 976,1 ათასი ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება 69 434,2 ათასი ლარით. შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 005 832,9 ათასი ლარის ოდენობით, აქედან: გადასახადები 642 129,4 ათასი ლარი, მათ შორის: გრანტები 205 936,1 ათასი ლარი, მათ შორის: სხვა შემოსავლები 157 767,4 ათასი ლარი, მათ შორის: ბიუჯეტის გადასახდელები განსაზღვრულია 1 105 410,3 ათასი ლარით, მათ შორის: ხარჯები განსაზღვრულია 828 186,4 ათასი ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდა – 261 616,3 ათასი ლარი; ვალდებულებების კლება – 15 607,6 ათასი ლარი. ბიუჯეტის საოპერაციო სალდო

განისაზღვრა 177 646,5 ათასი ლარით. არაფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს 231 616,3 ათას ლარს, მათ შორის: – არაფინანსური აქტივების ზრდა – 261 616,3 ათასი ლარი. – არაფინანსური აქტივების კლება – 30 000,0 ათასი ლარი. ფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს (69 577,4) ათას ლარს, მათ შორის: – ფინანსური აქტივების კლება – 69 477,4 ათასი ლარი, მათ შორის: ნაშთის ცვლილება - 69 434,2 ათასი ლარი. ვალდებულებების ცვლილება შეადგენს (15 607,6) ათას ლარს, მათ შორის: – ვალდებულებების კლება 15 607,6 ათასი ლარი.

გაიოზ თალაკვაძემ აღნიშნა, რომ ა(ა)იპ თეატრ „გლობუსს" შეეცვალა სახელწოდება - ა(ა)იპ „სანდრო მრევლიშვილის სახელობის თბილისის პროფესიული მუნიციპალური თეატრით" და ითხოვა აღნიშნულთან დაკავშირებით შესწორების ასახვა ბიუჯეტის ტექსტურ ნაწილში, რასაც დაეთანხმა კომისიის ყველა წევრი.

საკითხის განხილვა წარიმართა კითხვა -პასუხის რეჟიმში.

აზრი გამოთქვეს: დავით უთმელიძემ, ლევან არველაძემ,ლევან დავითაშვილმა.

შეკითხვების ამოწურვის შმდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის № 71 - 134 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მომხრე-9

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ღია კაფეს მოწყობის მიზნით გადაცემული მიწის ნაკვეთების მოიჯარეთა მიმართ ზოგიერთი ხელშემწყობი ღონისძიების განხორციელების თაობაზე"

მოხსენებელი- ირაკლი თავართქილაძე

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ღია კაფეს მოწყობის მიზნით გადაცემული მიწის ნაკვეთების მოიჯარეთათვის ზოგიერთი ხელშემწყობი ღონისძიების განხორციელების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 6 მაისის N20.479.625 და ქალაქ თბილისის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის N79 განკარგულებების შესაბამისად, ხელშემწყობი ღონისძიებები გავრცელდა ღია კაფეს მოწყობის მიზნით გადაცემული მიწის ნაკვეთების მოიჯარეთა მიმართ და შესაბამისი მოიჯარეებისთვის 2020 წლის 1 მარტიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდისთვის შემცირდა საიჯარო ქირა და განისაზღვრა 0 (ნული) ლარის ოდენობით. ამასთან, მოიჯარეები გათავისუფლდნენ 2020 წლის 1 მარტიდან 31 დეკემბრამდე პერიოდზე დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან.

2020 წლის ნოემბერში, გამწვავებული ეპიდემიოლოგიური ვითარების გამო კორონა ვირუსთან დაკავშირებით მოქმედმა უწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭომ ქვეყანაში მოქმედი რეგულაციების გამკაცრებისა და ახალი შეზღუდვების დაწესების თაობაზე გასცა დადებითი რეკომენდაცია. შეზღუდვები აისახა და გავრცელდა ქალაქ თბილისში არსებულ ღია კაფეს ტიპის დაწესებულებებზეც. კერძოდ, მათ შეეზღუდათ სრულფასოვნად ფუნქციონირება, რაც დაკავშირებულია შესაბამისი მოიჯარეების ფინანსური მდგომარეობის მნიშვნელოვნად გაუარესებასთან.

აქედან გამომდინარე მიზანშეწონილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სასყიდლით, იჯარის ფორმით, სარგებლობის

უფლებით გაცემული მიწის ნაკვეთების მოიჯარეების მიმართ განხორციელდეს დამატებითი ხელშემწყობი ღონისძიებები.

ირაკლი თავართქილაძემ ინფორმაციით, 2020 წლის დეკემბრის თვის მდგომარეობით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტსა და მოიჯარეებს შორის გაფორმებულია ჯამში დაახლოებით 153 მოქმედი ხელშეკრულება. მოიჯარეებს წარმოადგენენ სხვადასხვა იურიდიული და ფიზიკური პირები.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მოიჯარეებისთვის, რომლებზეც გავრცელდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 6 მაისის N20.479.625 და ქალაქ თბილისის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის N79 განკარგულებებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებები, 2021 წლის 1 იანვრიდან 31 იანვრის ჩათვლით პერიოდზე საიჯარო ქირის შემცირებასა და 0 (ნული) ლარით განსაზღვრას. მოიჯარეებს, რომელთაც 2021 წლის 1 იანვრიდან პერიოდზე ფაქტობრივად გადახდილი აქვთ საიჯარო ქირა/ქირის ნაწილი ან/და 2020 წლის 1 მარტიდან პერიოდზე საიჯარო ქირის გადაუხდელობის გამო დარიცხული პირგასამტეხლო, გადახდილი ქირა/ქირის ნაწილი/პირგასამტეხლო ჩაეთვლებათ მომავალი გადაუხდელი პერიოდის საიჯარო ქირის ანგარიშში, გადახდილი პერიოდის პროპორციულად.

ასევე, მოიჯარეებს, რომელთაც გადახდილი აქვთ 2021 წლის 1 იანვრიდან პერიოდზე საიჯარო ქირა/ქირის ნაწილი და იჯარის ხელშეკრულების ვადა იწურება 2021 წლის 1 თებერვლამდე, ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე დარჩენილ გადაუხდელ პერიოდზე საიჯარო ქირა შეეცვლებათ და განესაზღვრებათ 0 (ნული) ლარის ოდენობით. ბუნებრივია, რომ 2021 წლის 1 იანვრიდან 31 იანვრის ჩათვლით პერიოდზე საიჯარო ქირის ოდენობის შემცირების შედეგად, ასეთ მოიჯარეებს აღნიშნულ პერიოდზე საიჯარო ქირის გადახდასთან დაკავშირებით, არ დაერიცხებათ პირგასამტეხლო.

გარდა აღნიშნულისა, განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, რომ ასეთ მოიჯარეს, რომელსაც შესაბამისი იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, საიჯარო ქირის გადაუხდელობის გამო, დაეკისრა/დაეკისრებოდა პირგასამტეხლო, 2021 წლის 1 იანვრიდან 31 იანვრის ჩათვლით პერიოდზე გათავისუფლდეს დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ასევე ითვალისწინებს მოიჯარეებისთვის, რომლებთანაც შესაბამისი იჯარის ხელშეკრულება გაფორმდა ზემოაღნიშნული განკარგულებების გამოცემის შემდგომ და შესაბამისად, მათზე არ გავრცელდა აღნიშნული განკარგულებებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებები, 2020 წლის 1 დეკემბრიდან 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით პერიოდზე შესაბამისი იჯარის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული საიჯარო ქირის შემცირებასა და 0 (ნული) ლარით განსაზღვრას.

ასევე მოიჯარეებს, რომელთაც 2020 წლის 1 დეკემბრიდან პერიოდზე ფაქტობრივად გადახდილი აქვთ საიჯარო ქირა/ქირის ნაწილი ან/და იჯარის ხელშეკრულების გაფორმებიდან პერიოდზე საიჯარო ქირის გადაუხდელობის გამო დარიცხული პირგასამტეხლო, გადახდილი ქირა/ქირის ნაწილი/პირგასამტეხლო ჩაეთვლებათ მომავალი გადაუხდელი პერიოდის საიჯარო ქირის ანგარიშში, გადახდილი პერიოდის პროპორციულად. მოიჯარეებს, რომელთაც გადახდილი აქვთ 2020 წლის 1 დეკემბრიდან პერიოდზე საიჯარო ქირა/ქირის ნაწილი და იჯარის ხელშეკრულების ვადა იწურება 2021 წლის 1 თებერვლამდე, ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე დარჩენილ გადაუხდელ პერიოდზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საიჯარო ქირა შეეცვლებათ და განესაზღვრებათ 0 (ნული) ლარის ოდენობით. ბუნებრივია, რომ ასეთ მოიჯარეებს 2020 წლის 1 დეკემბრიდან 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით პერიოდზე საიჯარო ქირის ოდენობის შემცირების შედეგად, აღნიშნულ პერიოდზე საიჯარო ქირის გადახდასთან დაკავშირებით, არ დაერიცხებათ პირგასამტეხლო. გარდა აღნიშნულისა, განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, რომ ასეთი მოიჯარე, რომელსაც შესაბამისი იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, საიჯარო ქირის გადაუხდელობის გამო, დაეკისრა/დაეკისრებოდა პირგასამტეხლო, შესაბამისი იჯარის ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით

პერიოდზე გათავისუფლდეს დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან. ამასთანავე, ასეთ მოიჯარეს შესაბამისი იჯარის ხელშეკრულებების გაფორმებიდან 2020 წლის 1 დეკემბრამდე პერიოდზე გადაუხდელი იჯარის ქირის გადახდის ბოლო ვადად განესაზღვრება 2021 წლის 1 ივლისი და წინამდებარე განკარგულების გამოცემის დღიდან 2021 წლის 1 ივლისამდე პერიოდზე არ დაეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისი იჯარის ხელშეკრულების გაფორმებიდან 2021 წლის 1 იანვრამდე პერიოდზე საიჯარო ქირის გადაუხდელობის გამო.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, გადახდილი საიჯარო ქირა და პირგასამტეხლო არ ექვემდებარება დაბრუნებას, რაც, მათ შორის, მოიცავს ისეთ შემთხვევებსაც, თუ გადახდილი საიჯარო ქირის ჩათვლა იქნება შეუძლებელი ხელშეკრულების ვადის ამოწურვის ან საიჯარო ურთიერთობის ვადაზე ადრე შეწყვეტის გამო.

საკითხის განხილვა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

აზრი გამოთქვეს: დავით უთმელიძემ, ლევან არველაძემ,ოთარ გრიგოლიამ.

კომისიის წევრების შეკითხვებზე ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, რომ განკარგულების პროექტის მიღების შედეგად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ვერ მიიღებს 2020 წლის 1 დეკემბრიდან 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით პერიოდისთვის განსაზღვრულ საიჯარო ქირას ჯამში დაახლოებით 73,000.00 ლარის ოდენობით .აქედან, ფაქტობრივად გადახდილი საიჯარო ქირა, რომელიც დაექვემდებარება 2021 წლის 1 თებერვლიდან ანგარიშში ჩათვლას, 2020 წლის დეკემბრის მდგომარეობით შეადენს ჯამში დაახლოებით 42,100.00 ლარს.

ამასთანავე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, პირდაპირი განკარგვის ფორმით, იჯარის უფლებით, ღია კაფეს მოწყობის მიზნით გადაცემული მიწის ნაკვეთების მოიჯარეების, რომლებთანაც შესაბამისი იჯარის ხელშეკრულება გაფორმდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 6 მაისის N20.479.625 და ქალაქ თბილისის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის N79 განკარგულებების გამოცემის შემდგომ, მიერ 2020 წლის 1 დეკემბრამდე გადასახდელი იჯარის ქირის თანხებს, ბიუჯეტი მიიღებს დაახლოებით 6 თვით გვიან.
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.
მომხრე-9
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელებიდან გამომდინარე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ ზოგიერთი პირის მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე
მომხსენებელი -ირაკლი თავართქილაძე

წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მოსარგებლეებისთვის 2020 წლის 1 დეკემბრიდან 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით პერიოდზე სარგებლობის ქირის შეცვლას და 0 (ნული) ლარით განსაზღვრას(ჯამში დაახლოებით 475 მოქმედი ხელშეკრულება.) აღსანიშნავია, რომ მოქმედი ხელშეკრულებების თანახმად, ზემოაღნიშნულ პერიოდზე გადასახდელი სარგებლობის ქირა ჯამში შეადგენს დაახლოებით 568,000.00 ლარს. საგულისხმოა, რომ განკარგულების პროექტით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებები ვრცელდება ამ განკარგულების გამოცემის მომენტისათვის მოქმედ შესაბამის ხელშეკრულებებზე.

ამასთან, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, მოსარგებლეებს, რომელთაც 2020 წლის 1 დეკემბრიდან 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით პერიოდზე ფაქტობრივად გადახდილი აქვთ სარგებლობის ქირა/ქირის ნაწილი ან/და 2020 წლის 1 მარტიდან პერიოდზე სარგებლობის საფასურის გადაუხდელობის გამო დარიცხული

პირგასამტეხლო, გადახდილი ქირა/ქირის ნაწილი/პირგასამტეხლო ჩაეთვლებათ მომავალი გადაუხდელი პერიოდის სარგებლობის ქირის ანგარიშში, გადახდილი პერიოდის პროპორციულად. მოსარგებლეებს, რომელთაც გადახდილი აქვთ 2020 წლის 1 დეკემბრიდან 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით პერიოდზე სარგებლობის ქირა/ქირის ნაწილი და სარგებლობის ხელშეკრულების ვადა იწურება 2021 წლის 1 თებერვლამდე, ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე დარჩენილ გადაუხდელ პერიოდზე სარგებლობის ქირა შეეცვლებათ და განესაზღვრებათ 0 (ნული) ლარის ოდენობით.

გადახდილი სარგებლობის ქირა და პირგასამტეხლო არ ექვემდებარება დაბრუნებას.

განკარგულების პროექტის თანახმად, მოსარგებლეები ასევე გათავისუფლდებიან 2020 წლის 1 ივნისიდან 1 დეკემბრამდე სარგებლობის საფასურის გადაუხდელობის გამო დარიცხული პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებისგან (ასეთის არსებობის შემთხვევაში). გარდა აღნიშნულისა, განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, რომ მოსარგებლეს, რომელსაც შესაბამისი სარგებლობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, სარგებლობის საფასურის გადაუხდელობის გამო, დაეკისრა/დაეკისრებოდა პირგასამტეხლო, 2020 წლის 1 ივნისიდან 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით პერიოდზე გათავისუფლდეს დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან (რაც, ასევე, მოიცავს 2020 წლის 1 ივნისამდე არსებული ვალდებულების დარღვევისთვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოს შემთხვევებს).

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, განკარგულების პროექტით გათვალისწინებული ზემოხსენებული ხელშემწყობი ღონისძიებები არ გავრცელდება რიგ მეწარმეებზე, მათ შორის:

ა) „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ კომერციულ ბანკებზე საბანკო საქმიანობის განხორციელების მიზნით გადაცემული უძრავი ქონების ნაწილში, გარდა ე.წ. სწრაფი გადახდის აპარატის განსათავსებლად გადაცემული უძრავი ქონებისა;

ბ) „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სუბიექტებზე საკომუნიკაციო ან/და მასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევის მიზნით გადაცემული უძრავი ქონების ნაწილში;

გ) „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ლიცენზიატებზე, გარდა ელექტროსადგურის მწარმოებელ პირებისა, ამავე კანონით განსაზღვრული ან/და მასთან დაკავშირებული მომსახურებების გაწევის მიზნით გადაცემული უძრავი ქონების ნაწილში;

დ) იმ მოსარგებლეებზე, რომელთაც უძრავი ქონება გადაეცათ პირდაპირ ან ირიბად მასზე გარე რეკლამის განთავსების მიზნით. აღნიშნული პუნქტი გულისხმობს, მათ შორის, ქალაქ თბილისის მასშტაბით არსებულ ავტობუსის მოსაცდელებზე, ფეხით გადასასვლელ ხიდებსა თუ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის/მისი 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების საკუთრებაზე რეკლამის განთავსებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს;

ე) იმ მოსარგებლეებზე, რომელთაც უძრავი ქონების სარგებლობის ქირა განსაზღვრული აქვთ არაფიქსირებული ოდენობით, მაგალითად, როდესაც სარგებლობის ქირა გამომდინარეობს მოსარგებლის თვიური/წლიური შემოსავლის გარკვეული პროცენტიდან.

თუმცა, განკარგულების პროექტის შესაბამისად, იმ პირებს, რომელთაც აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით, ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ გადაეცათ უძრავი ქონების სარგებლობის (გარდა ღია კაფეს განთავსებისა და „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ კომერციულ ბანკებისთვის საბანკო საქმიანობის განხორციელების მიზნით გადაცემული უძრავი ქონებისა) ან მასზე საქმიანობის

განხორციელების უფლება/ნებართვა, შესაბამისი ხელშეკრულებების ფარგლებში 2020 წლის 1 მარტიდან 2021 წლის 1 იანვრამდე პერიოდზე გადაუხდელი სარგებლობის/საქმიანობის საფასურისა და მასზე დარიცხული პირგასამტეხლოს გადახდის ბოლო ვადად განესაზღვროთ 2021 წლის 1 ივლისი. ასეთ პირებს წინამდებარე განკარგულების გამოცემის დღიდან 2021 წლის 1 ივლისამდე პერიოდზე არ დაეკისროთ პირგასამტეხლო შესაბამისი ხელშეკრულებების ფარგლებში 2020 წლის 1 მარტიდან 2021 წლის 1 იანვრამდე პერიოდზე სარგებლობის/საქმიანობის საფასურის გადაუხდელობის გამო.

მომხრე-9

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა“ (ს/ნ: 202886788) და შპს „ალმას“ (ს/ნ: 204873388) შორის 2019 წლის 6 თებერვლის „შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის” (ს/ნ: 202886788) ბალანსზე რიცხულ ინფრასტრუქტურაზე, მოძრავ და უძრავ ქონებაზე არსებულ სარეკლამო ადგილებზე რეკლამის განთავსების ვადიანი, სასყიდლიანი უფლების გადაცემისა და ნებართვის მქონე თეთრ ტაქსებზე რეკლამის განთავსების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი - ირაკლი თავართქილაძე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა“ (ს/ნ: 202886788) და შპს „ალმას“ (ს/ნ: 204873388) შორის 2019 წელს გაფორმდა „შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის” ბალანსზე რიცხულ ინფრასტრუქტურაზე, მოძრავ და უძრავ ქონებაზე არსებულ სარეკლამო ადგილებზე რეკლამის განთავსების ვადიანი, სასყიდლიანი უფლების გადაცემისა და ნებართვის მქონე თეთრ ტაქსებზე რეკლამის განთავსების შესახებ“ ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, უფლების მიმღებს 20 (ოცი) წლის ვადით, 2039 წლის 6 თებერვლამდე ვადით, გადაეცა სატრანსპორტო კომპანიის ბალანსზე რიცხულ ინფრასტრუქტურაზე, მოძრავ და უძრავ ქონებაზე არსებულ სარეკლამო ადგილებზე რეკლამის განთავსების ექსკლუზიური უფლება.

ხელშეკრულების 3.1 პუნქტის თანახმად, რეკლამის განთავსების უფლების საფასური განისაზღვრა 14,547,124.99 ლარის ოდენობით, რომელიც ხელშეკრულების 3.4 პუნქტის შესაბამისად, უფლების მიმღებმა გადაიხადა ხელშეკრულების ხელმოწერიდან 15 კალენდარული დღის ვადაში.

ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.2 პუნქტის თანახმად, ხელშეკრულების დანართი N3-ის მე-18 პუნქტის შესაბამისად, 2020 წლის 30 სექტემბრამდე ხორციელდება ხელშეკრულების 3.4 პუნქტით გათვალისწინებული გადახდილი განთავსების უფლების საფასურის გადაანგარიშება, ხოლო გადაანგარიშების (კორექტირების) შედეგად განსაზღვრულ თანხას, უფლების მიმღები უხდის უფლების გამცემს გადაანგარიშებიდან 90 სამუშაო დღის ვადაში.

კომპანიამ 2020 წლის სექტემბრის თვეში განცხადებებით მიმართა სააგენტოს და პანდემიად აღიარებული ახალი კორონავირუსის „COVID-19“-ის გავრცელების პრევენციის მიზნით, საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობის/ფუნქციონირების გარკვეული ვადით შეჩერების გამო, მოითხოვა ხელშეკრულების ვადის 2040 წლის 7 აგვისტომდე (18 თვით) გახანგრძლივება, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2020 წლის 23 სექტემბრის N005771920 და 17 დეკემბრის N007648220 დასკვნების გათვალისწინებით;

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, კომპანიამ ასევე მოითხოვა ხელშეკრულების 3.2 პუნქტით გათვალისწინებული გადახდის ვალდებულების გადავადება დამატებით 6 (ექვსი) თვით.

საკითხის განხილვა წარიმართა კითხვა -პასუხის რეჟიმში.

აზრი გამოთქვა: დავით უთმელიძემ, ვახტანგ შაქარიშვილმა, ლევან ჟორჟოლიანმა.

ვახტანგ შაქარიშვილმა აღნიშნა, რომ „იქედან გამომდინარე, რომ არ ვეთანხმებოდი აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმებას, რადგან მიმაჩნდა და მიმაჩნია გარე რეკლამის ბიზნესში მონოპოლიის ხელშეწყობად, არ ვეთანხმები შემოთავაზებულ შეთავაზების თუ გადავადების წინადადებებს. კომპანია "ალმა" ბოროტად სარგებლობს მონოპოლური მდგომარეობით და არაერთხელ არის შემჩნეული არაკეთილსინდისიერ ქმედებებში, რისი საშუალებაც მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ არ უნდა მისცეს."

საკითხი დადგა კენჭისყრაზე.

მომხრე-8, წინააღმდეგი- ვახტანგ შაქარიშვილი.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ უმრავლესობით დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლების IV მიკრორაიონის კორპუს N12-ის მიმდებარედ არსებული, 1222.00 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.10.07.007.173) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

მომხსენებელი - ირაკლი თავართქილაძე.

წარმოდგენილის პროექტის მიხედვით, განიხილება ქალაქ თბილისში, დასახლება დიდი დიღომი, IV მ/რ, კორპუსი N12-ის მიმდებარედ არსებული, 1222.00 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.10.07.007.173) გაცვლის ფორმით პრივატიზება, შპს „ჯორჯიან ფაინანშიალ კრედიტ ჯი ეფ სის" (ს/ ნ 404949375) საკუთრებაში არსებული ქ. თბილისში, საქართველოს სამხედრო გზა, ახმეტელისა და ლუბლიანის ქუჩებს შორის, (ნაკვ. 22/79), 01.13.01.022.163 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 1000.00 კვ.მ მიწის ნაკვეთისა და ქ. თბილისში, ლუბლიანას ქუჩა N12, 01.13.01.022.086 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 955.00 კვ.მ მიწის ნაკვეთის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ. წარმოდგენილია გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის წერილი,რომლითაც სამსახური თანმობას აცხადებს მიწის ნაკვეთების გაცვლაზე. ხოლო ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო, წერილში აღნიშნავენ რომ 01.13.01.022.163 და 01.13.01.022.086 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთემზე ვრცელდება ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა, სადაც დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა. ასევე ვრცელდება შეზღუდვა- გამწვანების სპეციალური ზონა „დიღმის ტყე-პარკი". აქედან გამომდინარე მიზანშეწონილად მიაჩნიათ მიწის ნაკვეთების გაცვლა. აღინიშნა, რომ კომპანია იხდის ფასთა შორის სხვაობას 41100 ლარს.
საკითხის განხილვა წარიმართა კითხვა პასუხის რეჟიმში.
შეკითხები ჰქონდათ დავით უთმელიძეს, ლევან არველაძეს, ვახტანგ შაქარიშვილს.
შეკითხვების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდმარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.
მომხრე-9.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში არსებული 1500კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 72.13.06.356) სსიპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ:204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ.

მომხსენებელი - ირაკლი თავართქილაძე.

ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიას, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად, 1 (ერთი) ლარად პრივატიზებით გადაეცემა, ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში არსებული 1500კვ.მ მიწის ნაკვეთი, შემდგომში ეკლესიის მშენებლობის მიზნით.

მომხრე-9.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, მიხეილ გახოკიძის ქუჩა N26-ში არსებული 201 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1-ის (საკადასტრო კოდი: 01.19.19.004.104) ააიპ - საქართველოს ებრაელთა კავშირისთვის (ს/ნ:404386080)პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ.

მომხსენებელი - ირაკლი თავართქილაძე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ააიპ - საქართველოს ებრაელთა კავშირს (ს/ნ:404386080) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად, 1 (ერთი) ლარად პრივატიზებით გადაეცემა ქალაქ თბილისში, მიხეილ გახოკიძის ქუჩა N26-ში არსებული 201 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1-ი.საკადასტრო კოდი: 01.19.19.004.104).

მომხრე-9.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, ბუაჩიძის 8-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.07.003.029) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე".

მომხსენებელი - ირაკლი თავართქილაძე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, თბილისში, ბუაჩიძის 8-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.07.003.029) მდებარე უძრავი ქონება პირდაპირი განკარგვის ფორმით, საკუთრებაში გადაეცემა სამ ოჯახს. საერთო ჯამში 156,02 კვმ .ეს ოჯახები დიდი ხანია ცხოვრობენ აღნიშნულ ფართებში და საჯარო რეესტრის მონაცემებით თბილიში სხვა უძრავ ქონებაზე მათი უფლების რეგისტრაცია არ ფიქსირდება.

მომხრე-9.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, პოლიტკოვსკაიას ქუჩა N44-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.05.003.009) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე ".

მომხსენებელი - ირაკლი თავართქილაძე.

ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა, N46ა-ში, პირველ სართულზე მდებარე 46.20 კვ.მ. უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.14.05.003.011.02.509) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, თანასაკუთრებაში გადაეცემა მოქალაქეებს იოსები ზაკალაშვილისა და მარიამ ახალაძეს. წარმოდგენილია ცხოვრების დადასტურებასთან დაკავშირებით შესაბამისი გამგეობის წერილი და შსს გასაუბრების ოქმები.

მომხრე-9.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: "ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა N25-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.013.199.03.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე ".

მომხსენებელი - ირაკლი თავართქილაძე.

ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა N25-ში, პირველ სართულზე მდებარე 62.02 კვ.მ ფართი (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: N01.11.05.013.199.03.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზებით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ირმა მიდელაურს. მოქალაქე დიდი ხანია ცხოვრობს აღნიშნულ ფართში და საჯარო რეესტრის მონაცემებით თბილიში სხვა უძრავ ქონებაზე მას უფლების რეგისტრაცია არ ფიქსირდება.

მომხრე-9.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, შალვა ნუცუბიძის ფერდობი, IV მიკრო/რაიონი, კორპუსი 33-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.012.012) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

მომხსენებელი - ირაკლი თავართქილაძე.

ქალაქ თბილისში, შალვა ნუცუბიძის ფერდობი, IV მიკრო/რაიონი, კორპუსი 33-ში მდებარე უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.14.16.012.012) პირდაპირი განკარგვის ფორმით, საკუთრებაში გადაეცემა ორ ოჯახს საერთო ჯამშო 162,87 კვმ ფართი.მოქალაქეები დიდი ხნის განმავლობაში ფლობენ აღნიშნულ ფართებს.

მომხრე-9.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, ქუჩა მინდელი N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.01.007.075) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე ".

მომხსენებელი - ირაკლი თავართქილაძე.

ქალაქ თბილისში, ქუჩა მინდელი N5-ში მდებარე უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.14.01.007.075) პირდაპირი განკარგვის ფორმით, საკუთრებაში გადაეცემა 8 ოჯახს საერთო ჯამში 554.88 ფართი.მოქალაქეები ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ფლობენ აღნიშნულ ფართებს. წარმოდგენილია შესაბამისი გამგეობისა და მსს წერილები ცხოვრების ფაქტის დადასტურებასთან დაკავშირებით.

მომხრე-9.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: "ქალაქ თბილისში, სოფელი ოქროყანა, აკაკი ხორავას ქუჩა, N13-17/ ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა, N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.017.048.01.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე ".

მომხსენებელი - ირაკლი თავართქილაძე.

ქალაქ თბილისში, სოფელი ოქროყანა, აკაკი ხორავას ქუჩა, N13-17/ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა, N5-ში, 1-2 სართულზე, ბინა N4-ში მდებარე 91.30 კვ.მ, უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.15.07.017.048.01.004) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით,საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ჯულიეტა ფარჯიანს , რომელიც დიდი ხანია ცხოვრობს აღნიშნულ ფართში.ცხოვრების ფაქტი დასტურდება გამგეობისა და მსს წერილებით.

მომხრე-9.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს:„ქალაქ თბილისში, ს/ქ N43, ჯორჯ ბუშის ქუჩა მე-5 შესახვევი, კორპუსი N120-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.08.016.016) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე ".

მომხსენებელი - ირაკლი თავართქილაძე.
ქალაქ თბილისში, ს/ქ N43, ჯორჯ ბუშის ქუჩა მე-5 შესახვევი, კორპუსი N120 -ში მდებარე უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.17.08.016.016) პირდაპირი განკარგვის ფორმით, საკუთრებაში გადაეცემა ორ ოჯახს (საერთო ჯამში 166,65), რომლებიც დიდი ხანია ცხოვრობენ აღნიშნულ ფართებში.
მომხრე-9.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: "ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა, N46ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.05.003.011.02.509) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

მომხსენებელი - ირაკლი თავართქილაძე.
ქალაქ თბილისში, პოლიტკოვსკაიას ქუჩა N44-ში მდებარე უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.14.05.003.009) პირდაპირი განკარგვის ფორმით, საკუთრებაში გადაეცემა 9 (ცხრა) ოჯახს, საერთო ჯამში 519,38 კვმ ფართი. ეს ოჯახები დიდი ხანია ცხოვრობენ არნიშნულ მისამართზე, აღნიშნულ ფართებში. წარმოდგენილია შესაბამისი განგეობისა და შსს წერილები, რითაც დასტურდება მათი ცხოვრების ფაქტი.

მომხრე-9.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: "ქალაქ თბილისში, სოფელი ოქროყანა, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა N12-16/ალექსანდრე ყაზბეგის I შესახვევი, N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.017.045.01.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე ".
მომხსენებელი - ირაკლი თავართქილაძე.

ქალაქ თბილისში, სოფელი ოქროყანა, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა N12-16/ალექსანდრე ყაზბეგის I შესახვევი, N7-ში, 1-2 სართულზე, ბინა N1-ში მდებარე 125.79 კვ.მ, უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.15.07.017.045.01.001) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ქეთევან ქავთარაძეს , რომელიც დიდი ხანია ცხოვრობს აღნიშნულ ფართში და საჯარო რეესტრის მონაცემებით მასზე საკუთრების უფლება სხვა უძრავ ქონებაზე არ ფიქსირდება.
მომხრე-9.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, ღოღობერიძის ქუჩა N42-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.13.037.115) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "'

მომხსენებელი - ირაკლი თავართქილაძე.
ქალაქ თბილისში, ღოღობერიძის ქუჩა N42-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.13.037.115) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, საკუთრებაში გადაეცემა 9 (ცხრა) ოჯახს საერთო ჯამში 277,98 კვმ ფართი. ეს ოჯახები ძალიან დიდი ხანია ცხოვრობენ და სარგებლობენ აღნიშნული ფართებით.
მომხრე-9.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, დოესის ქუჩა N47-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.13.013.003.01.511) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "'

მომხსენებელი - ირაკლი თავართქილაძე.

„ქალაქ თბილისში, დოესის ქუჩა N47-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.13.013.003.01.511) მდებარე 35,81 კვმ უძრავი ქონება პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე თამაზ ყვავილაშვილს, რომელიც ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობს აღნიშნულ ფართში. საჯარო რეესტრის მონაცემით, აღნიშნულ პირზე საკუთრების უფლება თბილისში, სხვა უძრავ ქონებაზე არ ფიქსირდება. წარმოდგენილია ცხოვრების ფაქტის დადასტურებასთან დაკავშირებით შესაბამისი გამგეობის და მსს წერილები.

მომხრე-9.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს:„ქალაქ თბილისში, გრიგოლ ფერაძის ქუჩა N5, კორპუსი N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.72.14.013.429) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

მომხსენებელი - ირაკლი თავართქილაძე.

ქალაქ თბილისში, გრიგოლ ფერაძის ქუჩა N5, კორპუსი N1-ში, მდებარე უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.72.14.013.429) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა 32 ოჯახს (ჯამში - 1174.36 კვ.მ). მსს-ს 2020 წლის 27 ოქტომბრის ცნობებით დასტურდება, რომ აღნიშნულ მისამართზე გივი აბულაძე და ლევან კაკაურიძე ცხოვრობენ 1993 წლიდან; დოდო გაბელაია, ნანა ჯანაშია, თეა ჯამასპიშვილი - 2000 წლიდან; მაკა ქიმაძე- 2001 წლიდან; ია ხაჩიძე, ირაკლი თავაძე, ნათია გურგენიძე, სალომე ჩინჩალაძე, გვანცა გოგავა - 2009 წლიდან; ირმა გეგეშიძე, ნინო კოპალიანი - 2007 წლიდან; ლალი რობაქიძე ცხოვრობს 6 წელია (2012-დან); ლაშა ბარათელი, ილია ვართასაშვილი, მიხეილ ქაროსანიძე - 2006 წლიდან, მაია ჯუგაშვილი 12-15 წელია, მერი ოსოშვილი და ივანე კაპანაძე 12 წელია, მზია ლორთქიფანიძე 2003 წლიდან, შოთა სილაგაძე 2008 წლიდან, ზვიად ძირკვაძე 1990 წლიდან; თამარ მოსემღვდლიშვილი, ირინე ჩარგეიშვილი, ნინელი თევდორაშვილი - 2005 წლიდან, თამთა ტყეშელაშვილი 2012 წლიდან, ია ჯამასპიშვილი 10 წელზე მეტია, ირაკლი ქორჩილავა და მაკა მაჭარაშვილი - 2004 წლიდან, ლალი დოლიძე 14 წელია, მარინე საბანაძე და ნელი ჭანტურიძე 30 წელია, ნაზიბროლა გოგუაძე 20 წელია, ნანა გახარია 20 წელია. წარმოდგენილია ასევე მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული თანხმობითა და საუბნოს სამსახურის მოკვლევა ცხოვრებოს ფაქტის დადასტურებასთან დაკავშირებით. დასტურდება, რომ ზემოაღნიშნულ მისამართზე გიორგი ხეცურიანი ცხოვრობს 2009 წლიდან, ხოლო ნონა გახარია 2012 წლიდან.
უნდა აღინიშნოს, რომ ივანე კაპანაძის საკუთრების უფლება რეგისტრირებული იყო გლდანში 562 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: N72.13.31.071). აღნიშნული მიწის ნაკვეთი გაიმიჯნა ოთხ ნაწილად და გასხვისდა 2018 წელს.
მომხრე-9.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ბამბის რიგის ტერიტორიაზე არსებული 422 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.18.03.061.041) 33 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „Organica"-სთვის (ს/ნ: 400056461) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე თაობაზე.
მომხსენებელი - ირაკლი თავართქილაძე.

„ქალაქ თბილისში, ბამბის რიგის ტერიტორიაზე არსებული 422 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.18.03.061.041) 33 კვ.მ მიწის ნაკვეთი პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაეცემა შპს „Organica"-ს (ს/ნ: 400056461) ღია კაფეს მოწყობის მიზნით.
მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასურია - 7 920 (შვიდი ათას ცხრაას ოცი) ლარის ოდენობით.

მომხრე-9.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე დავით უთმელიძე.